<p>3. სალაროს ნაშთის კონტროლის განხორციელება</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად განსაზღვრავს, დღის განმავლობაში ლიმიტის შესაბამისად, სალაროში ნაშთის კონტროლისა და სალაროში ჭარბი (ლიმიტს ზევით) თანხის არსებობის შემთხვევაში უფლებამოსილ პირზე თანხის გადაცემის აუცილებლობას; 2. ზედმეტობისა ან დანაკლისის შემთხვევაში დადგენილი წესის შესაბამისად ადგენს საბუთს (ახსნა-განმარტებითი ბარათი); 3. ახორციელებს, ლიმიტის ფარგლებში, სალაროში თანხის შევსების პროცედურებს/დოკუმენტების ელექტრონულად გატარებას; 4. დავალების მოცემული კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად ავსებს სალაროს ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობების აღრიცხვის ჟურნალს. 	<p>სრულადაა ასახული შესრულების კრიტერიუმებში.</p>	<p>პრაქტიკული დავალება დაკვირვებით</p>

<p>4. სალაროს დახურვა</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად ითვლის პროგრამულ და სალაროს ნაშთს; 2. წესების დაცვით ადგენს საბუთებისა და შესრულებული ტრანზაქციების თანხობრივ შესაბამისობას; 3. ზედმეტობისა ან დანაკლისის შემთხვევაში დადგენილი წესის შესაბამისად ადგენს საბუთს (ახსნა-განმარტებითი ბარათი); 4. წესების დაცვით ახორციელებს ბანკნოტებისა და მონეტების ფორმირება-შეფუთვას; 5. წესების დაცვით ახორციელებს ბეჭდების, შტამპების, დასალუქი საშუალებების, კორპორატიული ატრიბუტიკის შენახვას; 6. დადგენილი წესის შესაბამისად გადსცემს თანხასა და დოკუმენტებს უფლებამოსილ პირს; 7. აკეთებს შესაბამის ჩანაწერს ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობების აღრიცხვის ჟურნალში; 8. წესების დაცვით ასრულებს შესაბამის საბუთის პროგრამული გატარების პროცედურას; 9. დადგენილი წესებისა და თანმიმდევრობის დაცვით ახორციელებს სამუშაო პროგრამებში მუშაობის დასრულებას. 	<p>ბანკნოტებისა და მონეტების ფორმირება-შეფუთვა: კუპიურების ნომინალების მიხედვით დალაგება; კონებად და ნეკნებად ბანდეროლით შეფუთვა;</p>	<p>პრაქტიკული დავალება დაკვირვებით</p>
<p>5. ინკასაციის განხორციელება</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. დადგენილი წესების შესაბამისად ახორციელებს მიღებული თანხის დათვლას; 2. დადგენილი წესების დაცვით ფურცლობრივად/ნომინალების მიხედვით ამოწმებს კუპიურებსა და მონეტებს ნამდვილობაზე; 3. დადგენილი წესების შესაბამისად ახორციელებს მიღებული ფასეულობის შემოწმებას; 4. დადგენილი წესის შესაბამისად ახორციელებს დანაკლისის/ზედმეტობის/საეჭვო ნომინალის გამოვლენისა და ლუქის/ჩანთის დაზიანების შემთხვევაში საჭირო პროცედურებს; 5. დადგენილი წესების შესაბამისად ახდენს მიღებული თანხის პროგრამულ გატარებას; 6. დადგენილი წესების შესაბამისად ახდენს კუპიურებისა და მონეტების (ტომრებად) ფორმირებას; 7. დადგენილი წესების შესაბამისად ახდენს ინკასაციით გასაგზავნი თანხისა და ფასეულობების ფორმირებას; 8. დადგენილი წესების შესაბამისად ახდენს ფორმირებული თანხის/ფასეულობების ტომრებში დალუქვას; 9. დადგენილი წესების დაცვით ავსებს საინკასაციო დოკუმენტებს. 	<p>საინკასაციო დოკუმენტები: საინკასაციო განაცხადი, შემოსავლის/გასავლის ორდერი, ბალანსგარეშე შემოსავლის/გასავლის ორდერი. საინკასაციო თანხის ნუსხა;</p>	<p>პრაქტიკული დავალება დაკვირვებით</p>

3. დამხმარე ჩანაწერები

3.1. მიდგომები სწავლებისა და შეფასების ორგანიზებისთვის

სწავლის შედეგი	თემატიკა	სწავლება-სწავლის მეთოდი/მეთოდები	შეფასების მეთოდი/მეთოდები	მტკიცებულება/მტკიცებულებები სტუდენტის პორტფოლიოსთვის
1	<ul style="list-style-type: none">) სალაროს პროცედურები;) სალაროს გახსნის, მასთან დაკავშირებული პროცედურები და უსაფრთხოების წესები;) სწორად აღწერს სალაროს ნაშთის გამოყვანის წესს;) ზედმეტობისა და დანაკლისის შემთხვევაში განსახორციელებელი ღონისძიებები;) სალაროს დახურვის, ბანკნოტების, მონეტების ფორმირებისა და შეფუთვის წესი;) შემოსავლის/გასავლის ანგარიშგების შექმნის, დღის განმავლობაში დაგროვილი საბუთებისა და შესრულებული ტრანზაქციების რაოდენობრივი შესაბამისობის განსაზღვრის წესები;) ინკასაცია და საინკასაციო დოკუმენტების წარმოების წესი. 	<p>ლექცია - შესაბამისი თემატიკის გადაცემა;</p> <p>სალაროს ოპერაციების შესაბამისი დოკუმენტების ნიმუშების დემონსტრირება-განხილვა.</p> <p>სიტუაციური ანალიზი-დისკუსია.</p>	<p>ზეპირი ან წერითი გამოკითხვა;</p>	<p>გამოკითხვა - ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულება</p> <p>ა) ზეპირი: პროფესიული მასწავლებლის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ შევსებული ჩანაწერი, ვიდეოჩანაწერი, აუდიოჩანაწერი;</p> <p>ბ) წერილობითი: სტუდენტის მიერ წერილობით შესრულებული ნამუშევარი, რომელიც ადასტურებს ცოდნას, უნარს ან/და კომპეტენციას;</p> <p>გ) ელექტრონულად ჩატარებული გამოკითხვა: ელექტრონულად შესრულებული ნამუშევარი, რომელიც ადასტურებს ცოდნას, უნარს ან/და კომპეტენციას.</p>
2	<ul style="list-style-type: none">) სამუშაო ადგილის მოწესრიგება: სამუშაო ადგილზე გამოცხადება, რეგისტრაცია, კომპიუტერისა და ელექტრონული პროგრამის ჩართვა, სამუშაო ატრიბუტიკის მოწესრიგება-გამართვა;) ლიმიტის ფარგლებში თანხის მიღების პროცედურა;) სალაროსა და პროგრამული ნაშთის დათვლა-შედარება;) ზედმეტობა-დანაკლისის პროცედურა;) ზედმეტობა-დანაკლისის ახსნა-განმარტებითი ბარათი. 	<p>პრაქტიკული მეცადინეობა</p> <p>იმიტირებულ ან/და რეალურ გარემოში სალაროს გახსნის ოპერაციებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შესრულება.</p>	<p>პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვების პროცესი;</p> <p>შესრულებული პრაქტიკული დავალების, დოკუმენტების შესრულების ხარისხის შეფასება.</p>	<p>პრაქტიკული დავალება დაკვირვებით - შესრულების მტკიცებულება</p> <p>პროფესიული მასწავლებლის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წერილობითი ჩანაწერი, აუდიოჩანაწერი, ქრონომეტრაჟით გადაღებული ფოტოები, რომლებიც ასახავს სტუდენტის შესრულების პროცესს.</p>
3	<ul style="list-style-type: none">) დღის განმავლობაში სალაროს ნაშთის კონტროლი;) ლიმიტს ზევით თანხის გადაცემის პროცედურა;) ლიმიტის ფარგლებში თანხის შევსების პროცედურა; 	<p>პრაქტიკული მეცადინეობა</p> <p>იმიტირებულ ან/და რეალურ</p>	<p>პრაქტიკული დავალების შესრულებაზე</p>	<p>პრაქტიკული დავალება დაკვირვებით - შესრულების მტკიცებულება</p>

	<ul style="list-style-type: none"> ქ შესაბამისი დოკუმენტაციის შევსება/რეგისტრაცია. 	<p>გარემოში სალაროს კონტროლის ოპერაციებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შესრულება.</p>	<p>დაკვირვების პროცესი;</p> <p>შესრულებული პრაქტიკული დავალების, დოკუმენტების შესრულების ხარისხის შეფასება.</p>	<p>პროფესიული მასწავლებლის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წერილობითი ჩანაწერი, აუდიოჩანაწერი, ქრონომეტრაჟით გადაღებული ფოტოები, რომლებიც ასახავს სტუდენტის შესრულების პროცესს.</p>
4	<ul style="list-style-type: none"> ქ ბანკნოტებისა და მონეტების ფორმირებისა და შეფუთვის პროცედურები; ქ ბანკნოტების და მონეტების დალაგება ნომინალების მიხედვით; ქ ბანკნოტების ბანდეროლით შეფუთვა კონებად და ნეკნებად; ქ უფლებამოსილ პირზე თანხის გადაცემის პროცედურა; ქ ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობების აღრიცხვის ჟურნალში ჩანაწერის გაკეთება; ქ ბეჭდების, შტამპების და დასალუქი საშუალებების შენახვის წესი; ქ კომპიუტერის და კომერციული ორგანიზაციის ელექტრონული პროგრამების/აპარატების გამორთვის პროცედურა. 	<p>პრაქტიკული მეცადინეობა</p> <p>იმიტირებულ ან/და რეალურ გარემოში სალაროს დახურვის ოპერაციებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შესრულება.</p>	<p>პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვების პროცესი;</p> <p>შესრულებული პრაქტიკული დავალების, დოკუმენტების შესრულების ხარისხის შეფასება.</p>	<p>პრაქტიკული დავალება დაკვირვებით - შესრულების მტკიცებულება</p> <p>პროფესიული მასწავლებლის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წერილობითი ჩანაწერი, აუდიოჩანაწერი, ქრონომეტრაჟით გადაღებული ფოტოები, რომლებიც ასახავს სტუდენტის შესრულების პროცესს.</p>
5	<ul style="list-style-type: none"> ქ ინკასაციით თანხისა და სხვა ფასეულობის მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოება; ქ ინკასაციით თანხისა და სხვა ფასეულობის მიღება; ქ ინკასირებული თანხის გადათვლის პროცედურის განხორციელება; ქ დაზიანებული ლუქის/ჩანთის მიღების შემთხვევაში შემდგომი რეაგირება; ქ მიღებული თანხის პროგრამული გატარების პროცედურა; ქ საინკასაციო ჩანთების გახსნა/დალუქვის წესები; ქ ინკასაციით თანხისა და სხვა ფასეულობის გაგზავნისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოება; ქ ინკასაციით თანხისა და სხვა ფასეულობის გაგზავნის პროცედურის განხორციელება. 	<p>პრაქტიკული მეცადინეობა</p> <p>იმიტირებულ ან/და რეალურ გარემოში საინკასაციო ოპერაციებისა და დოკუმენტების (საინკასაციო განაცხადი, შემოსავლის/გასავლის ორდერი, ბალანსგარეშე შემოსავლის/გასავლის ორდერი . საინკასაციო თანხის ნუსხა) შესრულება.</p>	<p>პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვების პროცესი;</p> <p>შესრულებული პრაქტიკული დავალების, დოკუმენტების შესრულების ხარისხის შეფასება.</p>	<p>პრაქტიკული დავალება დაკვირვებით - შესრულების მტკიცებულება</p> <p>პროფესიული მასწავლებლის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წერილობითი ჩანაწერი, აუდიოჩანაწერი, ქრონომეტრაჟით გადაღებული ფოტოები, რომლებიც ასახავს სტუდენტის შესრულების პროცესს.</p>

3.2. საათების განაწილების სქემა

სწავლის შედეგები	საათების განაწილება სწავლის შედეგების მიხედვით			სულ
	საკონტაქტო	დამოუკიდებელი	შეფასება	
1	18	15	1	87.5
2	12	-	0,5	
3	12	-	0,5	
4	12	-	1	
5	14	-	1,5	
სულ	68	15	4,5	

3.3. სასწავლო რესურსი

თ.ე. გოგიშვილი, ნ. გომელაური, „მოლარე ოპერატორის სახელმძღვანელო“, 2015, <http://vet.ge>;

3.4. მიდგომები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის თსუ-ის მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

სსიპ - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საფინანსო სერვისები

მოდულის სტატუსი: პროფესიული

ნაღდი ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციების განხორციელება

სარეგისტრაციო ნომერი: 0411705

მოდული

1.ზოგადი ინფორმაცია

სარეგისტრაციო ნომერი	0411705
სახელწოდება	ნაღდი ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციების განხორციელება
გამოქვეყნების/ცვლილების თარიღი	07.08.2017/ 11.03.2021
მოცულობა კრედიტებში	4
მოდულზე დაშვების წინაპირობა	მოდული - ეროვნული და უცხოური ვალუტის დამცავი ნიშნები
მოდულის აღწერა	მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: ნაღდი ანგარიშსწორების პროცედურებისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შედგენა-წარმოების აღწერა; ნაღდი ანგარიშსწორების ოპერაციების განხორციელება - თანხის მიღება, გაცემა, კონვერტაცია; საექვო ფულისა და დაზიანებული კუპიურების გამოვლენა.

2. სტანდარტული ჩანაწერები

სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები	კომპეტენციის პარამეტრების ფარგლები	შეფასების მიმართულება
<p>1. ნაღდი ანგარიშსწორების პროცედურებისა და მათთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შედგენა-წარმოების აღწერა</p>	<ol style="list-style-type: none"> დადგენილი წესების შესაბამისად, აღწერს ნაღდი ანგარიშსწორების პროცედურებს; დადგენილი წესების შესაბამისად აღწერს სხვადასხვა დანიშნულებით, კომუნალური და სხვა მიზნობრივი გადასახადისთანხის, ნაშთის შევსების, თანხის მიღების პროცედურებს; დადგენილი წესების შესაბამისად აღწერს სხვა ბანკის პლასტიკური ბარათის გამოყენებით თანხის გაცემის პროცედურას; დადგენილი წესების თანახმად, აღწერს ნაღდი ანგარიშსწორების შესაბამისი დოკუმენტის გაფორმებისა და პროგრამული გატარების პროცედურებს; დადგენილი წესების თანახმად აღწერს ნაღდი ანგარიშსწორებისას განსახორციელებელ აუცილებელ მოქმედებებს; დადგენილი წესების თანახმად აღწერს მონტორინგს დაქვემდებარებულ ოპერაციებს. 	<p>ნაღდი ანგარიშსწორების პროცედურები: თანხის შეტანისა და გატანის ოპერაციები; კონვერტაცია; დაზიანებული კუპიურებისა და საექვო ფულის გამოვლენა; სალაროს ნაშთის კონტროლი.</p> <p>დოკუმენტი: შემოსავლის ორდერი; გასავლის ორდერი; ვალუტის ყიდვა-გაყიდვის საბუთი; ცნობა/აქტი საექვო ფულის გამოვლენის შესახებ; გარე ბალანსური ორდერი. ცნობა გადასახდელად უვარგისი ფულის ნიშნების გამოვლენის შესახებ.</p> <p>აუცილებელი მოქმედებები: კლიენტისთვის განკუთვნილი ეგზემპლარის გადაცემა; ორგანიზაციისთვის განკუთვნილი ეგზემპლარების დღიურ საბუთებში შენახვა; ამობეჭდილი დოკუმენტების დამოწმება (ხელმოწერით, შტამპით, ბეჭედით); შემოსავლის/გასავლის ორდერის სისწორის შემოწმება.</p>	<p>გამოკითხვა</p>
<p>2. ნაღდი ანგარიშსწორების ოპერაციების (თანხის მიღება/გაცემა) განხორციელება</p>	<ol style="list-style-type: none"> წესების თანახმად, ახდენს პირის იდენტიფიკაციას ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას (თანხის მიღება/გაცემა); წესების თანახმად ახდენს კლიენტის პირადობის დამადასტურებელ საბუთზე არსებული მონაცემების პროგრამულ მონაცემებთან შედარებას; წესის დაცვით ახორციელებს სხვა ბანკის პლასტიკური ბარათის გამოყენებით თანხის გაცემას ; პროცედურის თანახმად, უცხოური ვალუტით ნაღდი ანგარიშსწორებისას, იურიდიული პირის შემთხვევაში ადგენს მიზნობრიობას; დავლების შესაბამისად, პროცედურებისა და წესების დაცვით ახორციელებს მონიტორინგს დაქვემდებარებულ ოპერაციებს; წესების დაცვით ახორციელებს ნაღდი ანგარიშსწორებით 	<p>სხვა ბანკის პლასტიკური ბარათის გამოყენებით თანხის გაცემა: ბარათისა და კლიენტის იდენტიფიცირება, საკომისიო ტარიფების გადამოწმება, ტერმინალის ჩეკის რეკვიზიტების გადამოწმება, საჭირო დოკუმენტების (მემორიალური ორდერი, გასავლის ორდერი) შედგენა.</p> <p>ნაღდი ანგარიშსწორებით კონვერტაცია: კურსის/სპეც კურსის შესახებ ინფორმირება, ვალუტის ყიდვა-გაყიდვის კონვერტაციის დოკუმენტების შედგენა-განკარგვა.</p> <p>პროცედურების თანმიმდევრობა: კლიენტის იდენტიფიცირება, პროგრამული შემოწმება, მიზნობრიობისა და მონიტორინგს დაქვემდებარებული</p>	<p>პრაქტიკული დავალება დაკვირვებით</p>

	<p>კონვერტაციას;</p> <p>7. ანგარიშსწორებისას ახდენს საექვო ფულის გამოვლენას;</p> <p>8. ანგარიშსწორებისას სწორად ახდენს დაზიანებული ბანკნოტებისა და მონეტების გამოვლენას;</p> <p>9. წესების დაცვით ავსებს საექვო ფულის გამოვლენის შესახებ შესაბამის აქტს/ცნობას და გარე ბალანსურ ორდერს;</p> <p>10. დაზიანების ხარისხის მიხედვით განსაზღვრავს განსახორციელებელ ღონისძიებებს;</p> <p>11. წესების დაცვით ავსებს შემოსავლის/გასავლის ორდერს;</p> <p>12. პროცედურების განხორციელების თანმიმდევრობისა და წესების დაცვით ახორციელებს ნაღდი ანგარიშსწორების ოპერაციებს (თანხის შეტანისა და გატანის ოპერაციები).</p>	<p>ქმედებების განსაზღვრა, თანხის მიღება/გაცემა, საექვო/დაზიანებული ფულის გამოვლენა, პროცედურის საჭირო დოკუმენტაციის შედგენა, კლიენტისთვის განკუთვნილი ეგზემპლარის გადაცემა, ორგანიზაციისთვის განკუთვნილი ეგზემპლარების დღიურ საბუთებში შენახვა; ამობეჭდილი დოკუმენტების დამოწმება; შემოსავლის/გასავლის ორდერის სისწორის შემოწმება.</p>	
--	---	--	--

3. დამხმარე ჩანაწერები

3.1. მიდგომები სწავლებისა და შეფასების ორგანიზებისთვის

სწავლის შედეგი	თემატიკა	სწავლება-სწავლის მეთოდი/მეთოდები	შეფასების მეთოდი/მეთოდები	მტკიცებულება/მტკიცებულებები სტუდენტის პორტფოლიოსთვის
1	<p>) ნაღდი ანგარიშსწორების პროცედურები: თანხის შეტანისა და გატანის ოპერაციები; კონვერტაცია; დაზიანებული კუპიურებისა და საექვო ფულის გამოვლენა; სალაროს ნაშთის კონტროლი;</p> <p>) თანხის მიღების პროცედურები სხვადასხვა დანიშნულებით (კომუნალური და სხვა მიზნობრივი გადასახადის თანხა, ნაშთის შევსება და სხვა);</p> <p>) სხვა ბანკის პლასტიკური ბარათის გამოყენებით თანხის გაცემის წესი;</p> <p>) ნაღდი ანგარიშსწორების შესაბამისი დოკუმენტის გაფორმებისა და პროგრამული გატარების პროცედურები;</p> <p>) მონტორინგს დაქვემდებარებული ოპერაციები.</p>	<p>ინტერაქციული ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა.</p> <p>სწავლის შედეგის შესაბამისი თემატიკის მიწოდება ლექციისა და დემონსტრირება-პრეზენტაციის სახით.</p>	<p>წერიტი მეთოდი - ღია ან/და დახურული ტესტი, კაზუსი.</p> <p>ზეპირი გამოკითხვა, დისკუსიაში მონაწილეობა, სიტუაციური ანალიზი და სხვა.</p>	<p>გამოკითხვა - ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულება</p> <p>ა) ზეპირი: პროფესიული მასწავლებლის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ შევსებული ჩანაწერი, ვიდეოჩანაწერი, აუდიოჩანაწერი;</p> <p>ბ) წერილობითი: სტუდენტის მიერ წერილობით შესრულებული ნამუშევარი, რომელიც ადასტურებს ცოდნას, უნარს ან/და კომპეტენციას;</p> <p>გ) ელექტრონულად ჩატარებული</p>

				გამოკითხვა: ელექტრონულად შესრულებული ნამუშევარი, რომელიც ადასტურებს ცოდნას, უნარს ან/და კომპეტენციას.
2	<ul style="list-style-type: none">) პირის იდენტიფიკაცია;) ნაღდი ფულის მიღება;) შემოსავლის საბუთების შედგენა, რეგისტრაცია, დამოწმება;) შემოსავლის საბუთების შენახვა/გაცემა;) ნაღდი ფულის გაცემა;) გასავლის საბუთების შედგენა, რეგისტრაცია, დამოწმება;) გასავლის საბუთების შენახვა/გაცემა;) ვალუტის კონვერტაცია;) კონვერტაციის საბუთების შედგენა, რეგისტრაცია, დამოწმება;) ვალუტის მიღება-გაცემა; კონვერტაციის საბუთის შენახვა/გაცემა;) საექვო ფულის გამოვლენა;) საექვო ფულის გამოვლენის შემთხვევაში დოკუმენტაციის შედგენა;) დაზიანებული კუპიურების გამოვლენა;) დაზიანების ხარისხის განსაზღვრა;) დაზიანების ხარისხის მიხედვით განსახორციელებელი ღონისძიებები. 	<p>პრაქტიკული მეცადინეობა</p> <p>იმითირებულ ან/და რეალურ გარემოში ნაღდი ანგარიშსწორების (თანხის მიღება-გაცემა), კონვერტაციის ოპერაციების შესრულება ,საექვო და დაზიანებული ფულის გამოვლენის პროცედურების განხორციელებას.</p>	<p>პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვების პროცესი;</p> <p>შესრულებული დავალების, უანდლო ანგარიშსწორების ოპერაციების დოკუმენტების შესრულების ხარისხის შეფასება.</p>	<p>პრაქტიკული დავალება დაკვირვებით - შესრულების მტკიცებულება</p> <p>პროფესიული მასწავლებლის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წერილობითი ჩანაწერი, აუდიოჩანაწერი, ქრონომეტრაჟით გადაღებული ფოტოები, რომლებიც ასახავს სტუდენტის შესრულების პროცესს.</p>

3.2. საათების განაწილების სქემა

სწავლის შედეგები	საათების განაწილება სწავლის შედეგების მიხედვით			
	საკონტაქტო	დამოუკიდებელი	შეფასება	სულ
1	30	16	2	100
2	50	-	2	
სულ	80	16	4	

3.3. სასწავლო რესურსი

-)] თ.ე. გოგიშვილი, ნ. გომელაური, „მოლარე ოპერატორის სახელმძღვანელო“, 2015, <http://vet.ge>;
-)] ი.კოვზანაძე, გ. კონტრიძე, „თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა“, თბილისი, 2014;
-)] საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ბრძანება №4 „კომერციული ბანკების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ“ 18 იანვარი 2012 წ;
-)] საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №162 „კომერციული ბანკების უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარმოდგენის წესი“, 21 აპრილი 2015;
-)] საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №38/04 „საგადახდო ბარათების შესახებ დებულება“, 16 მაისი 2011 წ;
-)] საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2011 წლის 27 ივნისის დადგენილება #4 „ლარის ბანკნოტებისა და მონეტების ვარგისობის განსაზღვრის კრიტერიუმები და მათი მიღება - გამოცვლის წესი“;

3.4. მიდგომები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების(სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის თსუ-ის მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება -საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

სსიპ - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საფინანსო სერვისები

მოდულის სტატუსი: პროფესიული

ანგარიშის გახსნა-დახურვა

სარეგისტრაციო ნომერი: 0411701

მოდული

1. ზოგადი ინფორმაცია

სარეგისტრაციო ნომერი:	0411701
სახელწოდება:	ანგარიშის გახსნა-დახურვა
გამოქვეყნების/ცვლილების თარიღი:	07.08.2017/ 11.03.2021
მოცულობა კრედიტებში:	4
მოდულზე დაშვების წინაპირობა:	-
მოდულის აღწერა:	მოდულის დასრულების შემდეგ პირ სშეუძლია: საბანკო ანგარიშის ტიპების, ანგარიშის გახსნის მონიტორინგის დახასიათება და მათთან დაკავშირებული საჭირო დოკუმენტებისა და პროცედურების განსაზღვრა. ანგარიშების გახსნა, დახურვა, გადაფორმება.

2. სტანდარტული ჩანაწერები

სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები	კომპეტენციის პარამეტრების ფარგლები	შეფასების მიმართულება
<p>1. საბანკო ანგარიშის ტიპებისა და მათთან დაკავშირებული საჭირო დოკუმენტებისა და პროცედურების განსაზღვრა</p>	<p>1. სწორად აღწერს საბანკო ანგარიშის ტიპებს, ზოგად პირობებს და ტარიფებს;</p> <p>2. სწორად აღწერს საბანკო ანგარიშების გახსნის, დახურვის პროცედურებსა და პირის ან ანგარიშის განმკარგავი პირის იდენტიფიცირების მეთოდებს;</p> <p>3. სწორად ჩამოთვლის სხვადასხვა ტიპის მომხმარებლისთვის ანგარიშის გასახსნელად საჭირო დოკუმენტებს;</p> <p>4. სწორად აღწერს სადებეტო პლასტიკური ბარათების ტიპებს, მათი გამოყენების პირობებსა და უსაფრთხოების ნორმებს.</p>	<p>საბანკო ანგარიშის ტიპები: მიმდინარე ანგარიში; ნომინალური მფლობელობის ანგარიში; საკორესპონდენტო ანგარიში; საკასო ანგარიში; სადეპოზიტო ანგარიში.</p> <p>იდენტიფიცირების მეთოდები: იდენტიფიკაცია, ვერიფიკაცია.</p> <p>სხვადასხვა ტიპის მომხმარებელი: რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული პირი; არამეწარმე ფიზიკური პირი; იურიდიული სტატუსის არმქონე ორგანიზაციები; ინდემწარმე; მეწარმე; გადასახადების გადამხდელი ფიზიკური პირი და ა.შ.</p>	<p>გამოკითხვა</p>
<p>2. ანგარიშის გახსნა</p>	<p>1. მომსახურების ეტიკეტის დაცვით ადგენს კლიენტისათვის საჭირო ანგარიშის ტიპს;</p> <p>2. წესების დაცვით ახდენს პირის იდენტიფიცირებას;</p> <p>3. პირის სტატუსის შესაბამისად ახდენს მის გადამოწმებას სათანადო ინსტიტუციებში;</p> <p>4. წესის დაცვით ახორციელებს კლიენტებისთვის საჭირო ანგარიშის გახსნის პროცედურას;</p> <p>5. წესის შესაბამისად ახორციელებს ანგარიშის გახსნის პროგრამულად გატარების პროცედურას;</p>	<p>ანგარიშის ტიპები: მიმდინარე ანგარიში; ნომინალური მფლობელობის ანგარიში; საკორესპონდენტო ანგარიში; სადეპოზიტო ანგარიში.</p> <p>ინსტიტუციებში: აღსრულების ბიურო,</p>	<p>პრაქტიკული</p>

	<p>6. მომსახურების ეტიკეტის დაცვით აწვდის კლიენტს სადებეტო ბარათების შესახებ ინფორმაციას;</p> <p>7. დადგენილი წესის დაცვით ახორციელებს სადებეტო პლასტიკური ბარათების განაცხადის მიღების, შეკვეთისა და გაცემის პროცედურებს;</p> <p>8. წესის შესაბამისად ახორციელებს შესრულებული ოპერაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შედგენა- განკარგვას.</p>	<p>შემოსავლების სამსახური, სამეწარმეო რეესტრი და ა.შ.</p> <p>სადებეტო ბარათების შესახებ ინფორმაცია: პლასტიკური ბარათებით მომსახურების ტარიფები (საკომისიო , განაღდება), ბენეფიტები, უსაფრთხოების ნორმები.</p> <p>დოკუმენტაცია: განაცხადი, ხელშეკრულება, პლასტიკური ბარათის მიღება-ჩაბარების აქტი.</p>	<p>დავალეზა დაკვირვებით</p>
<p>3. ანგარიშის გახსნისას მონიტორინგის დახასიათება</p>	<p>1. სწორად აღწერს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიზნებს და ფუნქციონირების თავისებურებებს;</p> <p>2. სწორად აღწერს მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლის ან სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებს, უფლება-მოვალეობებს;</p> <p>3. სწორად აღწერს „იცნობდე შენს კლიენტს“ პოლიტიკას;</p> <p>4. სწორად ჩამოთვლის მონიტორინგს დაქვემდებარებულ გარიგებებსა და საჭირო დოკუმენტებს;</p> <p>5. აღწერს „ფულის გათეთრების“ რისკებსა და შეფასების გზებს;</p> <p>6. სწორად აღწერს გარიგებების შესახებ დოკუმენტების წარმოების წესებს.</p>	<p>სრულადაა ასახული შესრულების კრიტერიუმებში.</p>	<p>გამოკითხვა</p>
<p>4. ანგარიშების გადაფორმება/ დახურვა</p>	<p>1. დადგენილი წესების შესაბამისად ახდენს ანგარიშის განმკარგავი პირის ვინაობას;</p> <p>2. დადგენილი წესების შესაბამისად ამოწმებს კლიენტის ანგარიშზე ნაშთის არსებობას;</p> <p>3. დადგენილი წესების შესაბამისად ამოწმებს ინკასო/ყადაღის არსებობას;</p> <p>4. დადგენილი წესების შესაბამისად იცავს დოკუმენტის შედგენისა და დამოწმების წესს;</p> <p>5. დადგენილი წესებისა და ეტიკეტის შესაბამისად, ასრულებს პირის ანგარიშის გადაფორმება/დახურვის პროცედურას.</p>	<p>დოკუმენტის შედგენის და დამოწმების წესი: დოკუმენტის ელექტრონულად გატარება; ამობეჭდილი დოკუმენტის ხელმოწერა, შტამპისა და ბეჭედის დასმა.</p>	<p>პრაქტიკული დავალეზა დაკვირვებით</p>

3. დამხმარე ჩანაწერები

3.1. მიდგომები სწავლებისა და შეფასების ორგანიზებისთვის

სწავლის შედეგი	თემატიკა	სწავლება-სწავლის მეთოდი/მეთოდები	შეფასების მეთოდი/მეთოდები	მტკიცებულება/მტკიცებულებები სტუდენტის პორტფოლიოსთვის
1	<ul style="list-style-type: none"> ⌋ საბანკო ანგარიშის ტიპები; ⌋ მიმდინარე ანგარიშის დანიშნულება; ⌋ ნომინალური მფლობელობის ანგარიშის დანიშნულება; ⌋ საკორესპონდენტო ანგარიშის დანიშნულება; ⌋ საკასო ანგარიშის დანიშნულება; ⌋ სადეპოზიტო ანგარიშის დანიშნულება; ⌋ საბანკო ანგარიშების გახსნის, დახურვის, გადაფორმების პროცედურები; ⌋ პირისგან ანგარიშის გახსნის განაცხადის მიღების წესი; ⌋ რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული პირისათვის ანგარიშის გასახსნელად საჭირო დოკუმენტები; ⌋ ინდმეწარმის, მეწარმის და გადასახადების გადამხდელი ფიზიკური პირისთვის ანგარიშის გასახსნელად საჭირო დოკუმენტები; ⌋ რეზიდენტი, არარეზიდენტი პირისათვის ნომინალური მფლობელობის ანგარიშის გახსნისათვის საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი; ⌋ საკორესპონდენტო და საკასო ანგარიშის გასახსნელად საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი რეზიდენტი ბანკებისა და არარეზიდენტი ბანკის ფილიალისთვის; ⌋ კლიენტებისთვის ანგარიშის (მიმდინარე, ნომინალური მფლობელობის, სადეპოზიტო) გახსნის პროცედურა; ⌋ ბანკებისთვის სხვა კომერციულ ბანკში 	<p>ინტერაქციული ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა.</p> <p>სწავლის შედეგის შესაბამისი თემატიკის გადაცემა; მომხმარებელთა კატეგორიებისა და სხვადასხვა ტიპის საბანკო ანგარიშის შესახებ პრეზენტაცია, პროფესიული განხილვები, სიტუაციური ანალიზი, დისკუსია.</p>	<p>წერიტი მეთოდი - ღია ან/და დახურული ტესტი, კაზუსი.</p> <p>ზეპირი გამოკითხვა, დისკუსიაში მონაწილეობა, სიტუაციური ანალიზი, პრეზენტაციის წარმოდგენა და სხვა.</p>	<p>გამოკითხვა - ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულება</p> <p>ა) ზეპირი: პროფესიული მასწავლებლის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ შევსებული ჩანაწერი, ვიდეოჩანაწერი, აუდიოჩანაწერი;</p> <p>ბ) წერილობითი: სტუდენტის მიერ წერილობით შესრულებული ნამუშევარი, რომელიც ადასტურებს ცოდნას, უნარს ან/და კომპეტენციას;</p> <p>გ) ელექტრონულად ჩატარებული გამოკითხვა: ელექტრონულად შესრულებული ნამუშევარი, რომელიც ადასტურებს ცოდნას, უნარს ან/და კომპეტენციას.</p>

	<p>ანგარიშის (საკორესპონდენტო, საკასო) გახსნის პროცედურა;</p> <ul style="list-style-type: none"> ⌋ პირის ან ანგარიშის განმკარგავი პირის იდენტიფიცირების მეთოდები; ⌋ სხვადასხვა ტიპის მომხმარებლისთვის ანგარიშისგასახსნელად საჭირო დოკუმენტები; ⌋ შესრულებული ოპერაციების დამადასტურებელი საბუთების განკარგვის წესი; ⌋ სადებეტო პლასტიკური ბარათების ტიპები, მათი გამოყენების პირობები და უსაფრთხოების ნორმები. 			
2	<ul style="list-style-type: none"> ⌋ საბანკო ანგარიშების გახსნის, დახურვის, გადაფორმების პროცედურები; ⌋ პირის ვინაობის დადგენის პროცედურა; ⌋ იდენტიფიკაციის გზები; ⌋ ვერიფიკაციის განხორციელების გზები; ⌋ კლიენტის ინფორმირება და მეთოდები; ⌋ პროგრამულად ანგარიშის გახსნის პროცედურა; ⌋ შესრულებული ოპერაციების დამადასტურებელი საბუთების განკარგვა. 	<p>პრაქტიკული მეცადინეობა</p> <p>იმიტირებულან/და რეალურ გარემოში საბანკო ანგარიშების გახსნისპროცედურები შესრულება.</p>	<p>პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვების პროცესი;</p> <p>შესრულებული პრაქტიკული დავალებისშესრულების ხარისხის შეფასება.</p>	<p>პრაქტიკული დავალება დაკვირვებით - შესრულების მტკიცებულება</p> <p>პროფესიული მასწავლებლის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წერილობითი ჩანაწერი, აუდიოჩანაწერი, ქრონომეტრაჟით გადაღებული ფოტოები, რომლებიც ასახავს სტუდენტის შესრულების პროცესს.</p>
3	<ul style="list-style-type: none"> ⌋ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიზნების და ფუნქციონირების თავისებურებები; ⌋ ბანკის პოლიტიკა „იცნობდე შენს კლიენტს“; ⌋ მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებები; ⌋ მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლისგან; ⌋ სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებს და უფლება-მოვალეობები; ⌋ „ფულის გათეთრების“ რისკის სიდიდის შეფასების გზები. 	<p>ინტერაქტიულილექცია, სამუშაოჯგუფშიმუშაობა.</p> <p>სწავლის შედეგის შესაბამისი თემატიკის გადაცემა; პროფესიული განხილვები, სიტუაციური ანალიზი, დისკუსია.</p>	<p>წერილი მეთოდი - ღია ან/და დახურული ტესტი, კაზუსი.</p> <p>ზეპირი გამოკითხვა, დისკუსიაში მონაწილეობა, სიტუაციური ანალიზი, პრეზენტაციის წარმოდგენა და სხვა.</p>	<p>გამოკითხვა - ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულება</p> <p>ა) ზეპირი: პროფესიული მასწავლებლის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ შევსებული ჩანაწერი, ვიდეოჩანაწერი, აუდიოჩანაწერი;</p> <p>ბ) წერილობითი: სტუდენტის მიერ წერილობით შესრულებული ნამუშევარი, რომელიც ადასტურებს ცოდნას, უნარს ან/და კომპეტენციას;</p> <p>გ) ელექტრონულად ჩატარებული</p>

				გამოკითხვა: ელექტრონულად შესრულებული ნამუშევარი, რომელიც ადასტურებს ცოდნას, უნარს ან/და კომპეტენციას.
4	<ul style="list-style-type: none"> სხვადასხვა პირისთვის ანგარიშის დახურვის პროცედურის თავისებურებები; თანხის გაცემისას კლიენტის ვინაობის დადგენის მეთოდები(იდენტიფიკაცია, ვერიფიკაცია); კლიენტის ანგარიშზე ნაშთის არსებობის შემოწმება; ანგარიშის დახურვის პროცედურის პროგრამული გატარება; ამობეჭდილი საბუთის დამოწმების წესები (ხელმოწერა, შტამპი, ბეჭედი). 	<p>პრაქტიკული მეცადინეობა</p> <p>იმიტირებულ ან/და რეალურ გარემოში ანგარიშების დახურვის, გადაფორმების პროცედურები შესრულება.</p>	<p>პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვების პროცესი;</p> <p>შესრულებული პრაქტიკული დავალების შესრულების ხარისხის შეფასება.</p>	<p>პრაქტიკული დავალება დაკვირვებით - შესრულების მტკიცებულება</p> <p>პროფესიული მასწავლებლის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წერილობითი ჩანაწერი, აუდიოჩანაწერი, ქრონომეტრაჟით გადაღებული ფოტოები, რომლებიც ასახავს სტუდენტის შესრულების პროცესს .</p>

3.2.საათების განაწილების სქემა

სწავლის შედეგები	საათების განაწილება სწავლის შედეგების მიხედვით			
	საკონტაქტო	დამოუკიდებელი	შეფასება	სულ
1	26	16	1	100
2	34	-	2	
3	6	4	1	
4	9	-	1	
სულ	75	20	5	

3. სასწავლო რესურსი

-)] თ. ე. გოგიშვილი, ნ. გომელაური, „მოლარე ოპერატორის სახელმძღვანელო“, 2015, <http://vet.ge>;
-)] საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება №24/04 „საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის და უცხოურ ვალუტაში ოპერაციების წარმოების შესახებინ სტრუქციის დამტკიცების თაობაზე“;
-)] საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება № 38/04 „საგადახდო ბარათების შესახებ დებულება“, 2011 წლის 16 მაისი;

3.4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების(სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის თსუ-ის მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევი სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება -საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

სსიპ - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საფინანსო სერვისები

მოდულის სტატუსი: პროფესიული

სწრაფი ფულადი გზავნილები

სარეგისტრაციო ნომერი: 0411712

მოდული

1. ზოგადინფორმაცია

სარეგისტრაციო ნომერი

0411712

სახელწოდება

სწრაფი ფულადი გზავნილები

გამოქვეყნების/ცვლილების თარიღი

07.08.2017/ 11.03.2021

მოცულობა კრედიტებში

1

მოდულზე დაშვების წინაპირობა

მოდული - ნაღდი ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციების განხორციელება

მოდულის აღწერა

მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:
სწრაფი ფულადი გზავნილის ოპერაციების აღწერა; სწრაფი ფულადი გზავნილის
გაგზავნა/გაცემა, ოპერაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაფორმება.

2. სტანდარტული ჩანაწერები

სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები	კომპეტენციის პარამეტრების ფარგლები	შეფასების მიმართულება
<p>1. სწრაფი ფულადი გზავნილების პროცედურისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაფორმების წესების აღწერა</p>	<p>1. სწორად აღწერს სწრაფი ფულადი გზავნილების სახეებს, პირობებს და მომსახურების ტარიფებს;</p> <p>2. დადგენილი წესის თანახმად, აღწერს გზავნილის გაგზავნის/მიღებისა და პირის (გამგზავნი, მიმღები) ვერიფიკაციის პროცედურებს;</p> <p>3. დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად აღწერს გზავნილის გაგზავნასთან/მიღებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაფორმების წესს;</p> <p>4. ასაბუთებს კლიენტზე დოკუმენტის ეგზემპლარის გადაცემისა და ორგანიზაციის კუთვნილი დოკუმენტის ეგზემპლარის დღიურ საბუთებში შენახვის წესებს.</p>	<p>სრულადაა ასახული შესრულების კრიტერიუმებში</p>	<p>გამოკითხვა</p>
<p>2. სწრაფი ფულადი გზავნილის ოპერაციების განხორციელება</p>	<p>1. დადგენილი წესის თანახმად, ახორციელებს კლიენტის ინფორმირებას გზავნილის ტიპების, მომსახურების ტარიფების და პირობების შესახებ;</p> <p>3. დადგენილი წესისთანახმად, ახორციელებს სწრაფი ფულადი გზავნილის გაცემას/გაგზავნას;</p> <p>4. გამგზავნი/მიმღები პირის შესახებ ინფორმაციის დაზუსტების წესის დაცვით ასრულებს ოპერაციებს;</p> <p>5. დავალების შესაბამისად ახორციელებს კონვერტაციას;</p> <p>6. დავალების შესაბამისად ავსებს შემოსავლის/გასავლის ორდერს და კონვერტაციის დოკუმენტს.</p>	<p>ინფორმაცია: გამგზავნი/მიმღების პირის სახელი, გვარი, ქვეყნა, თანხის რაოდენობა, ვალუტის სახე, კოდი.</p>	<p>პრაქტიკული დავალება დაკვირვებით</p>

3. დამხმარე ჩანაწერები

3.1. მიდგომები სწავლებისა და შეფასების ორგანიზებისთვის

სწავლის შედეგი	თემატიკა	სწავლება-სწავლის მეთოდი/მეთოდები	შეფასების მეთოდი/მეთოდები	მტკიცებულება/მტკიცებულებები სტუდენტის პორტფოლიოსთვის
1	<ul style="list-style-type: none">) გზავნილების ტიპები და ტარიფები;) გზავნილის გაგზავნის/მიღებისა და პირის (გამგზავნი, მიმღები) ვერიფიკაციის პროცედურები და მათი თანმიმდევრობა;) მომხმარებლისთვის აუცილებლად მისაწოდებელი ინფორმაცია;) გზავნილის გაგზავნასთან/მიღებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაფორმებისა და განკარგვის წესი. 	<p>ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა.</p> <p>სწავლის შედეგის შესაბამისი თემატიკის გადაცემა;</p> <p>გზავნილის გაგზავნის/მიღების ოპერაციების შესაბამისი დოკუმენტების ნიმუშების დემონსტრირება-განხილვა.</p>	<p>წერიტი მეთოდი - ღია ან/და დახურული ტესტი, კაზუსი.</p> <p>ზეპირი გამოკითხვა, დისკუსიაში მონაწილეობა, სიტუაციური ანალიზი, და სხვა.</p>	<p>გამოკითხვა - ზეპირიან/დაწერილობითი მტკიცებულება</p> <p>ა) ზეპირი: პროფესიული მასწავლებლის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ შევსებული ჩანაწერი, ვიდეოჩანაწერი, აუდიოჩანაწერი;</p> <p>ბ) წერილობითი: სტუდენტის მიერ წერილობით შესრულებული ნამუშევარი, რომელიც ადასტურებს ცოდნას, უნარს ან/და კომპეტენციას;</p> <p>გ) ელექტრონულად ჩატარებული გამოკითხვა: ელექტრონულად შესრულებული ნამუშევარი, რომელიც ადასტურებს ცოდნას, უნარს ან/და კომპეტენციას.</p>
2	<ul style="list-style-type: none">) გზავნილის გაგზავნის/მიღების ოპერაციები;) გზავნილის გაგზავნის/მიღებისას კონვერტაციის განხორციელების პროცედურა;) გზავნილის გაგზავნის/მიღების ოპერაციების შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმება-განკარგვა. 	<p>პრაქტიკული მეცადინეობა იმიტირებულ ან/და რეალურ გარემოში გზავნილის გაგზავნის/მიღების ოპერაციების შესრულება:</p> <ul style="list-style-type: none">) გზავნილის გაცემისას მიმღებისა და გამომგზავნის ვერიფიკაცია) მომხმარებლის ინფორმირება) გზავნილით თანხის განაღდებისას შემოსავლის/გასავლის ორდერის შევსება-რეგისტრაცია) დოკუმენტაციის გაფორმება-განკარგვა. 	<p>პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვების პროცესი; შესრულებული პრაქტიკული დავალების (დოკუმენტების შესრულების ხარისხის) შეფასება.</p>	<p>პრაქტიკული დავალება დაკვირვებით - შესრულების მტკიცებულება</p> <p>პროფესიული მასწავლებლის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წერილობითი ჩანაწერი, აუდიოჩანაწერი, ქრონომეტრაჟით გადაღებული ფოტოები, რომლებიც ასახავს სტუდენტის შესრულების პროცესს.</p>

3.2. საათების განაწილების სქემა

სწავლის შედეგები	საათების განაწილებასწავლის შედეგების მიხედვით			
	საკონტაქტო	დამოუკიდებელი	შეფასება	სულ
1	6	2	1	25
2	15	-	1	
სულ	21	2	2	

3.3. სასწავლო რესურსი

- ⌋ თ. ე. გოგიშვილი, ნ. გომელაური, „მოლარე ოპერატორის სახელმძღვანელო“, 2015, <http://vet.ge>;
- ⌋ ი. კოვზანაძე, გ. კონტრიძე, „თანამედროვე საბანკოსაქმე თეორი და პრაქტიკა“, თბილისი, 2014;
- ⌋ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 7 თებერვლის ბრძანება N26/04 „ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირის რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- ⌋ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N78/04 „კომერციული ბანკების მიერ განხორციელებული გადახდის ოპერაციების შესახებ საქართველოს ეროვნულ ბანკში ინფორმაციის მიწოდების ინსტრუქცია“, 21 აგვისტო 2015 წ;

3.4. მიდგომები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის თსუ-ის მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

სსიპ - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საფინანსო სერვისები

მოდულის სტატუსი: პროფესიული

უნაღდო ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციები

სარეგისტრაციო ნომერი: 0411713

მოდული

1. ზოგადი ინფორმაცია

სარეგისტრაციო ნომერი	0411713
სახელწოდება	უნაღლო ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციები
გამოქვეყნების/ცვლილების თარიღი	07.08.2017/ 11.03.2021
მოცულობა კრედიტებში	4
მოდულზე დაშვების წინაპირობა	მოდული - ანგარიშის გახსნა-დახურვა
მოდულის აღწერა	მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: უნაღლო ანგარიშსწორების ოპერაციებისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის აღწერა. უნაღლო ანგარიშსწორების ოპერაციების განხორციელება, მათთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოება და განკარგვა.

2. სტანდარტული ჩანაწერები

სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები	კომპეტენციის პარამეტრების ფარგლები	შეფასების მიმართულება
<p>1. უნაღლო ანგარიშსწორების ოპერაციებისა და მათთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოების აღწერა</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად აღწერს უნაღლო ანგარიშსწორების ოპერაციებსა დაწესებს; 2. ზუსტად განმარტავს უნაღლო ანგარიშსწორების ძირითად ტერმინებს; 3. სწორად აღწერს საჭირო დოკუმენტების პროგრამული გატარების თანმიმდევრობასა და დამუშავების წესებს; 4. სწორად აღწერს უნაღლო ანგარიშსწორებისას წარმოებული დოკუმენტაციის განკარგვის წესებს. 	<p>უნაღლო ანგარიშსწორების ოპერაციები: სავალუტო-სალარე ოპერაციები; გადარიცხვა; აკრედიტივით ანგარიშსწორება; საგადახდო დავალებით უნაღლო ანგარიშსწორება; უნაღლო კონვერტაცია; უაქცეპტოდ გადარიცხვა; გარე ბალანსური გატარების საფუძველზე საანგარიშსწორებო ჩეკის გაცემა; საბანკო პლასტიკური ბარათით ანგარიშსწორება.</p>	<p>გამოკითხვა</p>
<p>2. უნაღლო ანგარიშსწორების ოპერაციების წარმოება</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. დადგენილი წესებისთანახმად ახორციელებს პირის იდენტიფიცირებას; 2. დადგენილი წესებისთანახმად ახორციელებს უნაღლო ანგარიშსწორების ოპერაციებს; 3. წესების დაცვით ავსებს უნაღლო ანგარიშსწორებისთვის საჭირო დოკუმენტებს; 4. დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად განკარგავს უნაღლო ანგარიშსწორების დოკუმენტაციას. 	<p>უნაღლო ანგარიშსწორების ოპერაციები: სავალუტო-სალარე გადარიცხვები; საგადახდო დავალებით უნაღლო ანგარიშსწორება; აკრედიტივით ანგარიშსწორება; პლასტიკური ბარათით ანგარიშსწორება; გარე ბალანსური გატარების საფუძველზე საანგარიშსწორებო ჩეკის გაცემის პროცედურები; საინკასო დავალება (უაქცეპტოდ თანხის გადარიცხვა); უნაღლო კონვერტაცია; საბანკო პლასტიკური ბარათით ანგარიშსწორება.</p> <p>დოკუმენტები: განაცხადი, ბალანსგარეშე ორდერი; ჩეკის განაცხადი; საინკასო დავალება.</p>	<p>პრაქტიკული დავალება დაკვირვებით</p>

3. დამხმარე ჩანაწერები

3.1. მიდგომები სწავლებისა და შეფასების ორგანიზებისთვის

სწავლის შედეგი	თემატიკა	სწავლება-სწავლის მეთოდი/მეთოდები	შეფასების მეთოდი/მეთოდები	მტკიცებულება/მტკიცებულებები სტუდენტის პორტფოლიოსთვის
1	<ul style="list-style-type: none"> ⌋ უნაღლო ანგარიშსწორების ოპერაციები; ⌋ უნაღლო ანგარისწორების წესები; ⌋ უნაღლო ანგარიშსწორების დოკუმენტები, მათი წარმოებისა და განკარგვის წესები; ⌋ პირის იდენტიფიცირების წესი. 	<p>ინტერაქციული ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა სწავლის შედეგის შესაბამისი თემატიკის გადაცემა; უნაღლო ანგარიშსწორების შესახებ ნორმატიული დოკუმენტის გაცნობა; უნაღლო ანგარიშსწორების ოპერაციებთან დაკავშირებული დოკუმენტების ნიმუშების დემონსტრირება-განხილვა.</p>	<p>წერითი მეთოდი - ღია ან/და დახურული ტესტი, კაზუსი. ზეპირი გამოკითხვა, დისკუსიაში მონაწილეობა, სიტუაციური ანალიზი, პრეზენტაციის წარმოდგენადა სხვა.</p>	<p>გამოკითხვა - ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულება ა) ზეპირი: პროფესიული მასწავლებლის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ შევსებული ჩანაწერი, ვიდეოჩანაწერი, აუდიოჩანაწერი; ბ) წერილობითი: სტუდენტის მიერ წერილობით შესრულებული ნამუშევარი, რომელიც ადასტურებს ცოდნას, უნარს ან/და კომპეტენციას; გ) ელექტრონულად ჩატარებული გამოკითხვა: ელექტრონულად შესრულებული ნამუშევარი, რომელიც ადასტურებს ცოდნას, უნარს ან/და კომპეტენციას.</p>
2	<ul style="list-style-type: none"> ⌋ სავალუტო-სალარე ოპერაციები; ⌋ გადარიცხვა; ⌋ აკრედიტივით ანგარიშსწორება; ⌋ საგადახდო დავალებით უნაღლო ანგარიშსწორება; ⌋ უნაღლო კონვერტაცია; ⌋ უაქცეპტოდ გადარიცხვა; ⌋ გარე ბალანსური გატარების საფუძველზე საანგარიშსწორებო ჩეკის გაცემა; ⌋ პლასტიკური ბარათით ანგარიშსწორება; ⌋ უნაღლო ანგარიშსწორების ოპერაციების დოკუმენტების ფორმირება-განკარგვა; ⌋ უნაღლო ანგარიშსწორების ოპერაციების პროგრამული გატარება. 	<p>პრაქტიკული მეცადინეობა იმიტირებულ ან/და რეალურ გარემოში, პრაქტიკული დავალებების/სავარჯიშოების უნაღლოანგარიშსწორების ოპერაციებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის ფორმირება-განკარგვის შესრულება.</p>	<p>პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვების პროცესი; შესრულებული პრაქტიკული დავალების, უნაღლო ანგარიშსწორების ოპერაციების დოკუმენტების შესრულების ხარისხის შეფასება.</p>	<p>პრაქტიკული დავალება დაკვირვებით - შესრულების მტკიცებულება პროფესიული მასწავლებლის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წერილობითი ჩანაწერი, აუდიოჩანაწერი, ქრონომეტრაჟით გადაღებული ფოტოები, რომლებიც ასახავს სტუდენტის შესრულების პროცესს. პრაქტიკული დავალება - პროდუქტი, როგორც მტკიცებულება სტუდენტის მიერ შესრულებული შემდეგ საბანკო დოკუმენტები: საგადახდო დავალების ფორმა; შემოსავლის ორდერი, უნაღლო კონვერტაციის დოკუმენტის ფორმა, საინკასო დავალების ფორმა, განაცხადი (საჩეკო წიგნაკის მოთხოვნასთან დაკავშირებით), ბალანსგარეშე ორდერის ფორმა, ჩეკის ბარათის (საჩეკო გასავლის ორდერი) ფორმა, ელექტრონული ფაილი ან/და მატერიალური დოკუმენტი.</p>

3.2. საათების განაწილების სქემა

სწავლის შედეგები	საათების განაწილება სწავლის შედეგების მიხედვით			
	საკონტაქტო	დამოუკიდებელი	შეფასება	სულ
1	21	15	1	100
2	59	-	4	
სულ	80	15	5	

3.3. სასწავლო რესურსი

- ⌋ თ.ე. გოგიშვილი, ნ. გომელაური, „მოლარე ოპერატორის სახელმძღვანელო“, 2015, <http://vet.ge>;
- ⌋ ი.კოვზანაძე, გ. კონტრიძე, „თანამედროვე საბანკო საქმე“, თბილისი, 2014;
- ⌋ „გადახდის ოპერაციის შესრულების წესი“, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება № 8/04, 2015 წლის 22 იანვარი, ქ. თბილისი;
- ⌋ „საგადახდო ბარათების შესახებ დებულება“, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №38/04 2011 წლის 16 მაისი, ქ. თბილისი;

3.4. მიდგომები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის თსუ-ის მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება -საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

სსიპ - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საფინანსო სერვისები

მოდულის სტატუსი: პროფესიული

სადეპოზიტო მომსახურება

სარეგისტრაციო ნომერი: 0411706

მოდული

1.ზოგადი ინფორმაცია

სარეგისტრაციო ნომერი	0411706
სახელწოდება	სადეპოზიტო მომსახურება
გამოქვეყნების/ცვლილების თარიღი	07.08.2017/ 11.03.2021
მოცულობა კრედიტებში	4
მოდულზე დაშვების წინაპირობა	მოდული - ანგარიშის გახსნა-დახურვა
მოდულის აღწერა	მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: ანაბრების ტიპების, ანაბრებთან დაკავშირებული ოპერაციებისა და მათი მართვის მეთოდების განმარტება; ანაბრებთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოება.

2. სტანდარტული ჩანაწერები

სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები	კომპეტენციის პარამეტრების ფარგლები	შეფასების მიმართულება
<p>1. ანაბრების ტიპების, ანაბრებთან დაკავშირებული ოპერაციებისა და მათი მართვის მეთოდების განმარტება</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. სწორად აღწერს ანაბრის ტიპებს, პირობებსა და ტარიფებს; 2. სწორად აღწერს ანაბრებთან დაკავშირებული ოპერაციებისა და მათი მართვის მეთოდებს; 3. სწორად აღწერს სადეპოზიტო სერტიფიკატების ტიპებს, ზოგად პირობებს და ტარიფებს; 4. სწორად განმარტავს მეანაბრეთა უფლება-მოვალეობებს; 5. სწორად განმარტავს ანაბარზე სარგებლის დარიცხვის მეთოდებს; 6. სწორად აყალიბებს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლის წესს; 7. სწორად განმარტავს სადეპოზიტო პროდუქტების გაყიდვების და მომხმარებლის მოზიდვის ეფექტურ ხერხებს; 8. სწორად ჩამოთვლის სხვადასხვა ტიპის ანაბრებთან დაკავშირებულ დამატებითი ბენეფიტებს; 9. სწორად აყალიბებს ანაბრის პროლონგაციის (ვადის გაგრძელების) პირობებს; 	<p>ანაბრის ტიპები: მოთხოვნამდე, ვადიანი, ზრდადი, საბავშვო.</p> <p>ანაბრებთან დაკავშირებული ოპერაციები: სხვადასხვა პირისთვის ანაბრის გახსნა, დახურვა, შეწყვეტა; სარგებლის დარიცხვა; სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის დამატება; დარიცხული სარგებლის გაცემის წესი;</p> <p>სარგებლის დარიცხვის მეთოდები: მარტივი და რთული.</p>	<p>გამოკითხვა</p>
